



gamomcemeli: Sps `biznes intel eqti -
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i Jurnal i
`gadasaxadebi -

registrirebulia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical magazine `Gadasakhadebi

mTavari redaqtori:
daviT jal aRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebeli mdivani
marine xubua, asocierebuli profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel aSvili
asocierebuli profesori
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
nazi gomelauri
Technical Editor: Nazi Gomelauri

koreqtori: rusiko papaskiri
asocierebuli profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asocierebuli profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
el guja qavTaraZe, asocierebuli profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

Jurnal i „gadasaxadebi -
registrirebulia
s.k. 404941300
Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqcio kolegia
EDITORIAL BOARD
Tavmj domare: profesori daviT jal aRonia
Chairman: professor David Jalagonia
ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
profesorebi:
Doctors of Economics, Professors:

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel aSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapiZe	Shota Veshapidze
Larisa TakalanZe	Larisa Takalandze
zurab Lipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vladimer Rlonti	Vladimer Ghlonti
zaira RudusaRi	Zaira Gudushauri
Temur Sengel ia	Temur Shengelia
miheil Ciivil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
elene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nino xarebava	Nino Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anjel ika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi el sever nariman oRli -
baqo, azerbaijani
Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps `biznes intel eqti -
mimRebis IBAN angariSis # GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki `respublika-
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Correspondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22
T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oar emTxveodes avtorisas. statias moyvani i faqtetisa da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avtorii.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel , fasi 12 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 12

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

ekonomi kuri qronika / Economic chronicles	5-9
auqci oni / auCTION	10

mecniereba: Teoria, meTodol ogia, meTodika, praqtika
Science: theory, methodology, techniques, practice

el isabed bal iaSvili,
 ekonomikis akademiuri doqtori, wmida grigol feraZis Tbil isis
 saswavl o universitetis profesori
samTo turizmis ganviTarebis perspeqtivebi saqarTvel oSi -11-18

el isabed bal iaSvili,
 ekonomikis akademiuri doqtori, wmida grigol feraZis Tbil isis
 saswavl o universitetis profesori
svaneTis turistul potencial s saxel mwifos xeli swirdeba-19-26

nika Sengel ia,
 ekonomikis akademiuri doqtori, wmida grigol feraZis Tbil isis
 saswavl o universitetis profesori
sabanko inovacia - pl astikuri baraTebi 27-33

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi 34-80

i nstruqcia / **Instructions**81-83

kiTxva - pasuxi / **Questions and answers**84-85
 rubrikas uzRveba Jurnal `gadasaxadebis- eqsper ti, Sps `gaa hol dingi --s audi ti,
 profesori koba basil aia

val utis kursi / **Exchange rate** 86

gadasaxadebi #11-12, 2015

GADASAKHADEBI #11-12, 2015



ECONOMIC NEWS

«აბრეშუმის გზა» ნიშნავს მეტ ინვესტიციას და დასაქმებას

2015-12-13



ისტორიული დღე - ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პირველი ტრანზიტული მატარებლის შემოსვლა თბილისში, რომელიც ტვირთს ჩინეთიდან თურქეთში ჩაიტანს.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, "აბრეშუმის გზის" ამოქმედებით, საქართველო იბრუნებს იმ ისტორიულ მისიას, რომელიც მას საუკუნეების განმავლობაში აკისრია.



„დღეს ჩვენ ვიწყებთ რეალური წვლილის შეტანას საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. საუკუნეების განმავლობაში "აბრეშუმის გზა" იყო ყველაზე მნიშვნელოვანი სახმელეთო მარშრუტი, რომელიც აკავშირებდა ევროპასა და აზიას. ისტორიული აბრეშუმის გზის პროექტის იდეა ჩინეთის პრეზიდენტს ეკუთვნის. ჩვენ ამ საკითხზე მუშაობა 2 წლის წინ დავიწყეთ. მაშინ, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას გამოვედი ინიციატივით, რომ საქართველო ჩართულიყო ამ პროექტში და სწორედ ამ მიზნით, ოქტომბერში ჩვენ ჩავატარეთ თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი, რომელზეც 32 ქვეყნის 1000-მდე სტუმარი ჩამოვიდა, 500 წარმომადგენელი იყო ჩამოსული ჩინეთიდან. ეს იყო წარმატებული დაწყება", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნა ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავება და გაიხსენა ვიზიტი ჩინეთში, რომლის დროსაც საქართველოსა და ჩინეთს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება გადაწყდა. მემორანდუმს, მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, ჩინეთში, რამდენიმე დღის წინ, ხელი მოაწერა საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა, დიმიტრი ქუმსიშვილმა.


"აქამდე ჩინეთიდან ევროპაში პროდუქციის გადაზიდვა ძირითადად ხდებოდა ზღვით, რასაც საკმაოდ დიდი დრო მიაქვს - საშუალოდ 40 დღე. ხოლო "აბრეშუმის გზის" გაყოლებაზე მდებარე ქვეყნების თანამშრომლობა ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას, რომ ვაწარმოთ ჩინეთიდან ევროპაში გადაზიდვები ბევრად უფრო სწრაფად და იაფად. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, ჩინეთის უკიდურესი აღმოსავლეთიდან ევროპის მიმართულებით ტვირთების გადაზიდვა ხდება ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით. მიხარია, რომ ჩვენს მატარებელს სიმბოლურად ამშვენებს საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთის, ყაზახეთის და ევროკავშირის დროშები. ჩვენ შეგვიძლია უპრეცედენტოდ მოკლე ვადაში, 8-10 დღეში ტვირთი მივიღოთ საქართველოში და შემდეგ, 3-5 დღეში - ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. „აბრეშუმის გზა“ არის ყველაზე მოკლე გზა - 5-ჯერ შემცირებული გზა ევროპასა და აზიას შორის. ჩვენი ქვეყანა ამ უმოკლესი მარშრუტის ნაწილს წარმოადგენს და ეს მარშრუტი ჩვენ გვამღვეს დამატებით შანსს, გავხდეთ მსოფლიო ეკონომიკური მოვლენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე", - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, "აბრეშუმის გზა" არის ერთ სარტყელში განლაგებული პარტნიორი ქვეყნების დამატებითი ბიძგი, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის. პრემიერ-მინისტრი დარწმუნებულია, რომ პროექტი საქართველოში მეტ ინვესტიციას, მეტ სტაბილურობას, დასაქმებას და მეტ კეთილდღეობას მოიტანს.

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახური

საქართველოს პარლამენტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა

2015-12-13



83 მომხრე, 11 წინააღმდეგი - მიმდინარე წლის 11 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა. დოკუმენტი პლენარულ სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა წარადგინა.

მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრებთან ერთად მან პარლამენტის წევრებს მიმდინარე წელს ეკონომიკაში არსებული ტენდენციები და ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა გააცნო.

„მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პასუხობს რეალობას. ეს არის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს ყველა იმ პრობლემას, იმ გამოწვევას, რომლის წინაშეც დგას საქართველო. ეს გამოწვევებია: მოსახლეობის სოციალური დონის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურის დაფინანსება, ინვესტიციების ხელშეწყობა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა. ესაა ყველა ის თემა, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ იმ რესურსების ფარგლებში, რომელიც გვაქვს, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად დაეხარჯოთ სახელმწიფო რესურსები, ქვეყანა განვითარდეს და მოსახლეობის ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს“,- განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა.

2016 წლის ბიუჯეტის მიხედვით, სახელმწიფოს ფინანსური რესურსები ერთი მხრივ გადანაწილებულია სოციალურ მიმართულებებზე, ხოლო მეორე მხრივ, რეგიონში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სახსრები მიმართულია ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი წელს შენარჩუნებულია საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი ნიშნული, ხოლო მომდევნო პერიოდში გათვალისწინებულია მისი ეტაპობრივი კლება. 2016 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი 3.0%-ს შეადგენს.



2016 წლისათვის მობილიზებული რესურსი მათ შორის მიიმართება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასების ზრდაზე.

კერძოდ, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით:

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 10,145.0 მლნ ლარის ოდენობით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 8 555.0 მლნ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი - 7 980.0 მლნ ლარით. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი 255.0 მლნ ლარია, სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 320.0 მლნ ლარს.

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების მთლიანი მოცულობა დაგეგმილია 10,145.0 მლნ. ლარის ოდენობით, მათ შორის, საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 9 335.0 მლნ ლარს.

ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

ყველაზე დიდი რესურსი მიმართულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსებაზე და შეადგენს 3 162.0 მლნ ლარს. აღნიშნული თანხის ფარგლებში, სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის გათვალისწინებულია 2 273,0 ათასი ლარი, მათ შორის, 2016 წლის 1 ივლისიდან სახელმწიფო პენსიის 180 ლარამდე ზრდით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებულია დამატებით 90 მლნ ლარი, სოციალური დახმარებებისთვის განსაზღვრულია 680.0 მლნ ლარი, მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვაზე - 570.0 მლნ ლარი.

2016 პირველი ივლისიდან, სახელმწიფო პენსია ყველა პენსიონერისათვის გაიზრდება 180 ლარამდე, ხოლო პირველი სექტემბრიდან მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისათვის პენსია გახდება 216 ლარი.

2016 პირველი წელია, როდესაც განათლების სამინისტრო, ჯანდაცვის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებში. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 975,2 მლნ ლარი, მათ შორის, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად გამოყოფილი 572,8 მლნ ლარი ითვალისწინებს სკოლის პედაგოგთა ხელფასების მატებას (2015 წლის სექტემბრიდან საბაზო ხელფასი გაიზარდა 305 ლარიდან 355 ლარამდე, ხოლო 2016 წლის აპრილიდან გაიზრდება 405 ლარამდე), ასევე მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე პედაგოგებისათვის გათვალისწინებული დანამატების დასაფინანსებლად საჭირო ხარჯებს, პროფესიული განათლების დასაფინანსებლად - 36,0 მლნ ლარამდე, უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების დასაფინანსებლად - 173,0 მლნ ლარამდე, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის - 177,2 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის 82 მლნ ლარი ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში.



სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილია 321,4 მლნ ლარი; სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია აგროდაზღვევის პროგრამა და მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები, აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში მეწარმეთა ხელშეწყობა. ბიუჯეტში 2016 წელს პირველად არის გათვალისწინებული ქართული ჩაის ხელშეწყობის პროგრამა, ასევე გრძელდება 2015 წელს დაწყებული პროგრამა „დანერგე მომავალი“, რომელის ფარგლებშიც ხორციელდება ნერგების გაშენების ხელშეწყობა, რაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

მთავრობა ასევე მნიშვნელოვან რესურსებს მიმართავს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის. შესაბამისად, მომავალ წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებისთვის გამოყოფილია 950,0 მლნ ლარი, აქედან, დაახლოებით ნახევარი მილიარდი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდება;

თავდაცვის სამინისტროსთვის - 670,0 მლნ ლარი;

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის - 595,0 მლნ ლარი; (63,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დასაფინანსებლად, რომელიც 2015 წლის მანძილზე დაფინანსებას ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისგან იღებდა)

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური - 100,0 მლნ ლარი;

სასჯელადასრულებისა და პრობაციის სამინისტროსთვის - 153,8 მლნ ლარი;

ენერგეტიკის სამინისტროსთვის - 135,0 მლნ ლარი;

ეკონომიკის სამინისტროსთვის - 95,0 მლნ ლარი, (პროგრამა "აწარმოე საქართველოში" 20,0 მლნ ლარი);

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის - 110,0 მლნ ლარი;

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთვის - 97,0 მლნ ლარი

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთვის - 85,0 მლნ ლარი,

იუსტიციის სამინისტროსთვის - 70,5 მლნ ლარი;

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის - 90,0 მლნ ლარი;

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის - 42,1 მლნ ლარი;

ფინანსთა სამინისტრო - 90,0 მლნ ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის ჯამში გათვალისწინებულია 280,0 მლნ ლარი, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდისათვის 20,0 მლნ ლარი.

მთავრობის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 50 მლნ ლარით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი - 5 მლნ ლარით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა მომავალ წელს შეადგენს 621,7 მლნ ლარს. აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში მიიმართება საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი სახე. სახელმწიფო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებულია 868,7 მლნ ლარი.




საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონის შედეგი

02.12.2015

2015 წლის 2 დეკემბერს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე გაიყიდა 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 19 800 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 12.920 პროცენტით, მაქსიმალური 13.440 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 13.201 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური განაკვეთი 10.750 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.





სამთო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი
ელისაბედ ბალიაშვილი

შესავალი

ტურიზმი არის საწარმოო-ქონებრივი კომპლექსი, რომელიც აერთიანებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ნედლეულსა და სამუშაო ძალას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ტურიზმი განიხილება, როგორც ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, რეგიონებს შორის ცხოვრების დონისა და განსხვავების შესამცირებელი და დასაქმებულობის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი გზა.

მომსახურების სფეროს მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ჯერ ერთი, ერთდროულად წარმოადგენს როგორც წარმოების სფეროს, სადაც დაკავებულია მომუშავეთა ძირითადი მასა, ისე მომსახურების სფეროს, რომლის კლიენტი შეიძლება იყოს საზოგადოების თითქმის ყველა წევრი. მეორე - ეს სფერო უმეტესად სულიერი მოხმარებისაა. მესამე - ეს არის მოსახლეობის ერთი ნაწილის შრომისა და მეორე ნაწილის თავისუფალი დროის მჭიდრო კავშირი.

თანამედროვე მსოფლიოში ტურიზმის როლი განისაზღვრება იმითაც, რომ იგი წარმოადგენს სოციალური სფეროს ნაწილს, რომლის ძირითადი ფუნქციები შემდეგში მდგომარეობს:

- ❑ მატერიალური და არამატერიალური სიკეთის მომხმარებლამდე მიტანა მომსახურების ფართო სპექტრის სახით;
- ❑ მოხმარების პროცესის მომსახურება;
- ❑ საქმიანობისა და დასვენების სახეობების ცვლილებების პირობების შექმნა;



- Ø ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების უზრუნველყოფა;
- Ø მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ფორმირება;
- Ø ეროვნებათაშორისი, სახელმწიფოთაშორისი, ეთნიკურ ჯგუფებსა და პიროვნებებს შორის არსებული ურთიერთობების გაფართოება და ა.შ.

დღეისთვის ტურისტული ბიზნესი მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სწრაფად განვითარებადი დარგია. საერთაშორისო ტურიზმი მიეკუთვნება სამ უმსხვილეს საექსპორტო დარგს, ჩამორჩება მხოლოდ ნავთობის მოპოვებას და ავტომშენებლობას. სხვა წყაროების მიხედვით ტურიზმი არის მსოფლიო მეურნეობის ყველაზე უფრო რენტაბელური სფერო. ინდუსტრიის სფეროში დაკავებულია დედამიწის მუშა ძალის 60% [1, გვ. 6]. დღეს ტურიზმი - ეს არის სახალხო მეურნეობის კომპლექსი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იქცა სწრაფად განვითარებად დარგად. საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში ტურიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული დარგი, რომლის წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში შეადგენს 15-35%-ს (უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია) [2, გვ. 9].

ტურიზმის კატეგორია შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით.

სოციალური თვალსაზრისით ტურიზმი ასახავს ადამიანთა ურთიერთობებს თავისუფალი დროის გამოყენების პროცესში, ამავე დროს იგი წარმოადგენს კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო გარემოს, სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, რომლებიც აყალიბებენ ადამიანის შიდა სამყაროს.

ქვეყანაში (რეგიონში) ტურიზმის განვითარებით მიღებული ეფექტი ვლინდება ტურისტულ ინდუსტრიაში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნით, ასევე ეკონომიკურად სუსტი რეგიონების განვითარების სტიმულირებით. ტურისტული ინდუსტრიის განვითარება და ტურისტული მომსახურების ხარისხის ზრდა რეგიონში წარმოადგენს ტერიტორიული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების დამატებით წყაროს. შორეულ, მცირედ დასახლებულ და ინდუსტრიულად სუსტად განვითარებულ, მაგრამ ტურისტებისთვის საინტერესო, რეგიონებში ტურისტული ინდუსტრიის საწარმოების შექმნა ხელს უწყობს ამ რეგიონების განვითარებას. სწორედ ასეთია საქართველო, კერძოდ კი სვანეთის რეგიონი.



1. სვანეთი როგორც სამთო ტურიზმის განვითარების "მექა"

საქართველოს გააჩნია საკმაო პოტენციალი სამთო ტურიზმის განსავითარებლად, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს საქართველოს მთის რეგიონების ხარისხობრივად ახალ სოციალურ-ეკონომიკურ დონეზე აყვანას. ამასთანავე, არსებობს რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ დამუშავდება რეგიონების ტურიზმის განვითარების პროგრამა. ეს პროგრამა უნდა დამუშავდეს გეგმიური, ბალანსირებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით და უნდა ეფუძნებოდეს არსებული ტურისტული პოტენციალის სრულყოფილ გამოყენებას.

სამთო-ტურიზმის განვითარებისთვის საქართველოში ყველაზე გამოსადეგია სვანეთი. სვანეთში ძალიან ბევრი სამთო-ტურისტული მარშრუტია. თუმცა, მარშრუტები გარდა "მთის მოყვარულთა კავშირისა" და კავშირი "სვანეთის ტურიზმის ცენტრისა", არავის არასოდეს დაუკვალავს. მითუმეტეს არავის უზრუნია მათ მარკირებასა და რეკლამირებაზე. ეს ქვეყნის მთავრობას ევალება.

მარშრუტების უმრავლესობა რადიალურია, ანუ ტურისტი ერთი და იგივე გზით მიდის და ბრუნდება. რასაკვირველია, ტურისტისათვის წრიული მარშრუტი ბევრად საინტერესოა, რადგან მას სურს ახალ-ახალი გარემოს ხილვა. მაგრამ წრიული მარშრუტების ათვისებას ხელს უშლის სათანადო ინფრასტრუქტურის, კერძოდ, თავშესაფრების უქონლობა, სადაც ღამის გათევა იქნებოდა შესაძლებელი. მრავალფეროვანი მარშრუტები კი ტურისტულ ნაკადებს ბევრად გაზრდიდა.

როგორც წესი, ექსტრემალური და სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულებს არა აქვთ მაინცდამაინც კომფორტულ პირობებში ცხოვრების პრეტენზია და ზედმიწევნით განვითარებულ საცხოვრებელ ინფრასტრუქტურას არ საჭიროებენ. მათ ყველაფერ ამას ბუნებასთან უშუალო კონტაქტი ურჩევნიათ, ამით ისინი გარემოს ორგანულ ნაწილად გრძნობენ თავს. ამ ტიპის ტურისტები ამაცობენ, რომ ფეხით გადაადგილდებიან და გარემოს არ აზიანებენ.

საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირმა (პგქფ) ფრიდრიხ ებერტის ფონდის (აუთ) საქართველოს წარმომადგენლობასთან ერთად, 2005 წლიდან, საოჯახო ტურისტული ბიზნესის ხელშემწყობ პროგრამაზე დაიწყო მუშაობა.

ეს პროგრამა მიზნად ისახავდა სვანეთში საოჯახო-ტურისტული ბიზნესით დაინტერესებულ ოჯახების გაერთიანებას, არსებული საოჯახო ინფრასტრუქტურის დახვეწას, ქვეითი სამთო-ტურისტული და საცხენოსნო ტურისტული ბილიკების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დაკვალვა-მარკირებას, სამთო-ტურისტულ მარშრუტებზე გამყოლებით მომსახურებას, სვანეთის სამთო ტურისტული რესურსების საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე გატანა-რეკლამირებას და სხვა.



2006 წელს საქართველოს მთის მოყვარულთა კავშირის, გურამ თიკანაძის სახელობის სვანეთის ახალგაზრდული ცენტრისა და **9** ადგილობრივი პიროვნების ძალისხმევით დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაცია "სვანეთის ტურიზმის ცენტრი" (თეს), იმავე, **2006** წელს საოჯახო ტურიზმის განვითარების პროგრამაში აქტიურად ჩაერთო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (თეს) სამხრეთ კავკასიის ოფისი.

წინა წლებში, მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან აქტიურად რეკლამირდებოდა პროექტები, რომლებიც სვანეთში მიმდინარეობდა და რომელთაც, მათი აზრით, ამ მხარისთვის განსაკუთრებით დიდი პოპულარობა და ტურისტების სიუხვე უნდა მოეტანათ, თუმცა "სვანეთის ტურიზმის ცენტრში" ამბობენ, რომ ისეთი ადგილისთვის, როგორც სვანეთია, პიარიც და რეკლამაც განსაკუთრებული სიფრთხილით და იქაური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ზუსტი ცოდნით უნდა გაკეთდეს.

მაგალითად, მესტიის ცენტრში აშენებულმა გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობამ საუკუნებრივ ტრადიციას, სვანების მონღოლებზე გამარჯვების დღესასწაულს (ჰულიშს) წერტილი დაუსვა და ვედარ ტარდება. ამ დღესასწაულის ტურისტულ პროდუქტად გადაქცევის შემთხვევაში ათასობით ტურისტის შემოყვანა იყო შესაძლებელი," - ამბობს გამგეობის თავმჯდომარე ზაურ ჩართოლანი.

სამთო ტურიზმის განვითარებას ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და დამატებითი შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ნებისმიერი სამთო-ტურისტული მოგზაურობა თავისთავად ექსტრემალურ პირობებში მოხვედრას გულისხმობს (სიმაღლე, რელიეფის სირთულე, მომატებული რადიაცია, ამინდის ჭირვეულობა და ა.შ.), რაც ზრდის სახიფათო (ავარიული) შემთხვევების ალბათობას.

ხიფათში მოხვედრილი ტურისტისათვის დახმარების გაწევის მყარი გარანტიის უქონლობის გამო ტურისტების უმრავლესობა, მიუხედავად საქართველოს მთიანეთის მონახულების დიდი სურვილისა, მოგზაურობისგან ხშირად თავს იკავებს. ამის შედეგად საქართველო პოტენციური ტურისტების მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს. კერძოდ, ასეთი სამსახურის უქონლობა სამთო ტურიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს.

აქედან გამომდინარე, საქართველოში სამთო ტურიზმის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დღის წესრიგში სათანადო ოპერატიული სამაშველო სამსახურის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი კადრების მომზადების მწვავე აუცილებლობა დგება. მის წარმატებულად და ეფექტურად ფუნქციონებას დაზარალებული ტურისტის ფიზიკური მდგომარეობის და მდებარეობის (ადგილსამყოფელის) ცოდნა განაპირობებს. ეს კი მხოლოდ ტურისტსა და სპეციალურად მოწყობილ სამეთვალყურეო ცენტრს შორის ოპერატიული კავშირის მეშვეობითაა შესაძლებელი.



სვანეთის კულტურული გარემო და, განსაკუთრებით, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიაში შემავალი ტერიტორია სრულიად უნიკალურია. ამდენად, კულტურული მემკვიდრეობის საკითხი, აქ არსებული რესურსის ტურისტული მიზნებისათვის გამოყენების თვალსაზრისით, სპეციალურ განხილვას საჭიროებს.

”ჩვენი აზრით, ადგილობრივი არქიტექტორებისაგან საბჭო ან სათათბირო უნდა შეიქმნას, რომელიც ძეგლების რესტავრაციის საკითხებს განსაზღვრავს, სახელმწიფომ კი ძეგლების შენარჩუნებას მეტი ყურადღება და სახსრები უნდა მოახმაროს. ის, რომ სვანეთში ბევრი კომპია, არ ნიშნავს, რომ თუკი რამდენიმეს შევინარჩუნებთ, ეს საკმარისი იქნება. არქიტექტურასთან ერთად სწორედ კომპეების სიმრავლე განსაზღვრავს მათ გრანდიოზულობას და სილამაზეს”.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე სვანეთი წარმოადგენდა ალპინისტურ და სამთო-სათხილამურო ცენტრს, საკმაოდ კარგად ორგანიზებული და განვითარებული ინფრასტრუქტურით. აქ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ რამდენიმე მეტად პოპულარული სამთო-ტურისტული მარშრუტი გადიოდა, მოქმედებდა ტურისტული და ალპური ბანაკები, თავშესაფარები, ბაზები, არსებობდა სამაშველო ჯგუფები. მარშრუტზე ტურისტთა მოძრაობა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სამწუხაროდ, სვანეთში არსებული ინფრასტრუქტურა სასტუმროების, ტურისტული ბაზების და ბანაკების სახით საერთოდ მოიშალა და განადგურდა.

ცნობილია, რომ მსოფლიო ტურისტულ ბიზნესში ყოველწლიურად 500 მილიარდამდე დოლარი ბრუნავს. მარტო ალპური ქვეყნების შემოსავალი სამთო-ტურისტული ბიზნესიდან 150 მილიარდ დოლარს აჭარბებს. ეს ქვეყნები კარგა ხანია გასცდნენ ანთროპოლოგიური დატვირთვის ზღვარს - მძლავრმა ტურისტულმა ნაკადმა და ინფრასტრუქტურამ დაარღვია ბუნების წონასწორობა და ათასგვარი ეკოლოგიური პრობლემა წარმოშვა, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შეშფოთებისა და ხშირად პროტესტსაც იწვევს. ამის გამო მოსალოდნელი „ალპური აპოკალიფსის“ საშიშროებაც კი გაჩნდა.

საქართველო და, კერძოდ, სვანეთი პრაქტიკულად ყამირია ასეთი მასშტაბური ტურისტული ბიზნესის განსავითარებლად. ამიტომ ისინი, ვინც ტურისტული თვალსაზრისით ევროპა და სხვა ქვეყნები „აითვისა“, აუცილებლად მონახავენ მათი საქმიანობის განვითარებისათვის ისეთ თვალწარმტაც კუთხესაც, როგორც სვანეთია. მითუმეტეს, რომ სვანეთი თავისი უხვი, მრავალფეროვანი და უმაღლესი ხარისხის ტურისტული პროდუქციით საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციას გაუწევს ნებისმიერ ტურისტულ ქვეყანას. ამის გამო მოსალოდნელია, რომ სვანეთში მასობრივი ტურიზმი თანამედროვე ფორმებით, გაჩნდება დიდი სასტუმროები, კემპინგები და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომელთა მშენებლობას სიამოვნებით დააფინანსებენ უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები. რასაკვირველია, ისინი შეეცდებიან ჩადებული თანხების ამოღებას და მოგების მიღებას, რისთვისაც გამოიყენებენ ევროპული და სხვა ტურისტული ქვეყნების მაგალითზე მრავალგზის აპრობირებულ მექანიზმებს ტურისტული ნაკადის მოსაზიდად.



2. სვანეთში სამთო ტურიზმის განვითარების სარგებელი

ტურიზმის განვითარების მთელი პროცესის პერიოდში ადგილობრივმა მოსახლეობამ უნდა მიიღოს გარკვეული მოგება ტურისტული ბიზნესისაგან, რაც მისი კეთილდღეობის ამაღლებაში უნდა აისახოს.

სამთო ტურისტული ბიზნესის განვითარების შედეგად ადგილობრივი საზოგადოების პოტენციური მოგება ძირითადად მოიცავს [3]:

- ❖ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემოსავლის ზრდას;
- ❖ ადგილობრივი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას (სასტუმრო სახლები, ქოხები, სასადილოები, რესტორნები სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები);
- ❖ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და მისი შესყიდვის გაფართოებას;
- ❖ შიდა რეწვისა და სუვენირების დამზადების ტრადიციების აღდგენა-განვითარებას;
- ❖ ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების ზრდას.

საქართველოს მთიანეთში და ამ შემთხვევაში ზემო სვანეთში, სამთო ტურისტული საქმიანობის განვითარებას და ხელშეწყობას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ სასურველია:

- ❖ სახელმწიფომ განახორციელოს საოჯახო ტურისტული ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერა უპროცენტო ან დაბალპროცენტო სესხების გაცემის გზით;
- ❖ მესტიის გამგეობამ და საკრებულომ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ტურიზმის და კერძოდ საოჯახო ტურიზმის განვითარებას. საოჯახო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა უნდა გახდეს მათი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი.

სამთო ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობის პროცესში აუცილებლად გათვალისწინებულია ზომიერების შენარჩუნება, ვინაიდან ტურისტების უკონტროლო და დაუგეგმავმა ნაკადებმა შეიძლება რეგიონში სერიოზული პრობლემები წარმოშვას.

დასკვნა

განხილული მასალის შეჯამებით ის საერთო დასკვნა გამოიტანება, რომ სვანეთის მთიანეთი მეტად გამოსადეგია სამთო ტურიზმის განვითარებისთვის. ამ შესაძლებლობის ასამოქმედებლად სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს და დააფინანსოს სპეციალური პროგრამა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ჩეკურიშვილი ნ., ინვესტიციები ტურიზმში, ჟ., "მეცნიერება და ტექნოლოგიები", №1-9, 2008.
2. ტურიზმის განვითარების პრობლემა სვანეთში - თავო მათეშვილი © 2013
3. UNESCO World Heritage Center. World Information Kit, 2005.
4. www.geotourism.ge
4. ტურიზმი საქართველოში - www.tbiliscorps.ge
5. საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი - www.tourism.gov.ge
6. www.education.ge
7. www.regions.ge

რეზიუმე

სამთო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები

საქართველოში

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი
ელისაბედ ბალიაშვილი

სტატიაში განხილულია სამთო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სვანეთს, სადაც წარმატებით შეიძლება განვითარდეს სათხილამურო სპორტი, მწვერვალების დალაშქვრა, კლდეებზე ცოცვა და ა. შ.

ავტორი თვლის, რომ ამის ორგანიზებას სახელმწიფო პროგრამის დამუშავება სჭირდება, რომლის განხორციელებით სვანეთის მთიანეთში მოწესრიგდება ტურისტების მომსახურებელი ინფრასტრუქტურა (მაშველები, ექსტრემალური სასწრაფო დახმარება და ა. შ.).

ავტორის აზრით, სამთო ტურიზმის განვითარება გარკვეულ შემოსავალს მოუტანს მათ მომსახურე ოჯახებს, რომლებიც ამჟამად უკიდურს გაჭირვებაში იმყოფებიან.



Summary

Prospects of Mountain Tourism Development in Georgia

Elisabed Baliashvili

Doctor of Economics, Professor

St. Grigol Peradze Tbilisi Teaching University

The article touches upon perspective development of the mountain tourism in Georgia. The author distinguishes Svaneti for skiing, invading mountains, rock climbing and other kinds of mountain sport opportunities.

The author considers that the government should take relevant actions to improve touristic infrastructure in Svaneti (lifeguards, extreme emergency service and etc). Development of mountain tourism will contribute to welfare of local residents who will work in the field of customer-service and eradicate their extreme poverty.





სვანეთის ტურისტულ პოტენციალს სახელმწიფოს ხელი სჭირდება

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი
ელისაბედ ბალიაშვილი

შესავალი

ყველასათვის ნათელია ის დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელსაც ტურიზმი იძენს მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. იგი ხელს უწყობს კეთილმეზობლური პოლიტიკის განმტკიცებას, სოციალურ-ეკონომიკურ თანამშრომლობას და დიალოგს კულტურათა შორის [1, გვ. 14]. საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსებით ტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობანი გააჩნია. ამის გამო საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის ხელსაყრელი შესაძლებლობები, რომლებსაც ტურიზმის შემდგომი განვითარება გვთავაზობს. ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლების, დასვენების უფლების, უზრუნველყოფამ წარმოქმნა დასვენების მოთხოვნის დაკმაყოფილების აუცილებლობა.

ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისი, ხოლო საინტერესო კულტურული, არქეოლოგიური, არქიტექტურული მემკვიდრეობა, ბუნება, რომელსაც ტექნიკური პროგრესი ჯერ არ შეხება, იძლევა საშუალებას განხორციელდეს საინტერესო პროექტები [1, გვ. 179].

სვანეთის საკურორტო-რეკრიაციული რეგიონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონია საქართველოში, რომელიც ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობდა ადრეულ წლებშიც და დღესაც საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია.



სამწუხაროდ დღესდღეობით სვანეთის რეგიონი არ არის ტურისტებით განებივრებული, რადგან განთავსების ობიექტები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სატრანსპორტო საშუალებები და ა. შ. არ არის სათანადო დონეზე განვითარებული, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სერიოზული ძვრებია ამ მხრივ გადადგმული, როგორც ჩანს საკმარისი არ არის.

რეგიონს ბევრი მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია ტურიზმის განვითარებისათვის, უმეტესი მათგანი სრულიად გამოუყენებელია. ეს რესურსები არ არის საინტერესოდ მიწოდებული, რის გამოც ტურისტები ნაკლებად ინტერესდებიან ამ მხარით, უარეს შემთხვევაში კი საერთოდ არ გააჩნიათ ინფორმაცია აქ არსებული ბევრი საინტერესო ძეგლისა თუ სიწმინდის შესახებ.

ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის სათანადოდ გათვითცნობიერებული ტურიზმის განვითარების აუცილებლობაში, არ ფლობს შესაბამის ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, რათა მოემსახუროს ტურისტებს, ან შეძლოს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება მოგების მიღების მიზნით.

1. სვანეთი და მისი ტურისტული პოტენციალი

დასავლეთ კავკასიონის ცენტრალური 125 კმ-იანი მონაკვეთი, კოდორის ქედიდან ვიდრე ფასის მთამდე სვანეთის კავკასიონად იწოდება. მის სამხრეთ კალთებზეა განლაგებული საქართველოს ყველაზე მაღალმთიანი კუთხე - სვანეთი, რომელიც მოიცავს მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებს შუა წელიდან სათავეებამდე.

სვანეთშია თავმოყრილი კავკასიონის უმთავრესი მწვერვალები და უმსხვილესი მყინვარები, რომელთა ჯამური ფართი 300 კვ.კმ აღწევს და ყინულოვანი ჯავშანის სახით გვირგვინივით ადგას კავკასიონს. უმნიშვნელოვანესი მწვერვალებია: წურუნგალა (4220 მ), აილამა (4550 მ), შხარა (5068 მ), ჯანლა (5060 მ), გესტოლა (4860 მ), ტიხტინგენი (4620 მ), თეთნულდი (4860 მ), მაზერი (4010 მ), ჩათინი (4370 მ). აქვეა საქვეყნოდ ცნობილი ორთავა უშბას ციცაბო კლდოვანი მასივი (4700 მ). კავკასიონზე სირთულისა და სილამაზის ეტალონი უშბაა, ალპებში - მატერჰორნი (4478 მ).

სვანეთის კავკასიონის თხემური ნაწილის საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 4125 მ-ია, მაქსიმალური - 5068 (შხარა), მინიმალური - 3168 (დონდუზორუნის გადასასვლელი). კავკასიონის ამ მონაკვეთზე ოცამდე სვადასხვა სირთულის უღელტეხილია, რომლებიც ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადადის. გადასასვლელების სიმაღლე 3160 მ-დან 3860 მ-მდე მერყეობს. ზოგიერთი მათგანი საპალნე ტრანსპორტისთვისაა განკუთვნილი, უმრავლესობა - ქვეითად მოსიარულეთათვის, ზოგი კი მხოლოდ ალპინისტებისათვისაა მისაწვდომი.



კავკასიონის სამხრეთის გვერდით ქედებს შორის უმაღლესია სვანეთის ქედი (უმაღლესი მწვერვალი ლაჰილი, **4010** მ), რომელიც მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფს წარმოადგენს. მისი სიგრძე **120** კმ-ია.

სვანეთი ულამაზესი მხარეა არამართო საქართველოში, არამედ მთელს კავკასიაში. საოცარია აქაური სოფლები, მუდმივად თოვლიანი მთის თვალუწვდენელი მწვერვალები, აზალის საძოვრები, საიდანაც შუასაუკუნეების კომპები ულამაზეს ხეობებს ამაყად გადაჰყურებდნენ, ხოლო ფრიალო კლდეებში ღრუბლები გაწოლილან. სვანეთი საჩუქარია არა მხოლოდ ლაშქრობის მოყვარულთათვის, იგი კულტურის უძველესი კერაცაა. აქ მრავლად შეხვდებით შუა ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, სალოცავებსა და ეკლესიებს, შუასაუკუნეების უნიკალურ ფრესკებსა და მონეტებს, რომლებიც ახლაც ინახება რამოდენიმე მუზეუმში.

მეტად მრავალფეროვანია სვანეთის მცენარეული საფარი. წიწვოვანი ტყეები **800-900** მეტრიდან გვხვდება, ხოლო ალპური სარტყელი **2450-2500**-დან **3100-3200** მეტრამდე ვრცელდება. აქ გვხვდება ფართოფოთლოვანი ტყეები, რომელთა შემადგენლობაშია ქართული მუხა, კავკასიური რცხილა, ცაცხვი, მთის ნეკერჩხალი და სხვა.

სვანეთის მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად სვანურ ენაზე საუბრობს. ისინი განთქმული არიან თავიანთი სტუმართმოყვარეობითა და შრომისმოყვარეობით. სვანები თავისებური და ამაყი ხალხია. სვანეთის ისტორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მუსიკალური ფოლკლორი. სვანური სიმღერები ძირითადად ომებს, ომის გმირებს, სახელოვან მეფეებს ეძღვნება, ბევრი სიმღერა კი წარმართულ ელემენტებსაც შეიცავს.

სხვა ტურისტული ადგილები:

- Ø ტბები – უღვირის, ქორულდის, მეზირი (ტვებიში);
- Ø მღვიმე – ზარგაში (მესტია), შგედი ბუდებრივი გამოქვაბული;
- Ø საპიკნიკე – მესტიაში: კახური, ჰაწვალი, ღვირის უღელტეხილი, იფარი, კალის ხეობა;
- Ø საჯომარდო – მესტია ჭალა, ბეჩო (შიხის ჭალა), ნაკრა (ზედა წელში) უშგული;
- Ø სათევზაო ტურიზმი - ჭუბერი, ლახამულა, იფარი (ადიშურა);
- Ø საცხენოსნო ტურიზმი – მესტიიდან - ჟაბეში-ადიში-იფრალი-უშგული (**5** დღიანი ტური **1** ცხენი **20** ლარი) გამყოლი **40-50** ლარი);
- Ø მკავე წყლების ადგილები – უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტიაში **7**, ლენჯერი, ცხუმარი, ეცერი.
- Ø ბუნების ძეგლები – მდ. ადიშურას სათავეებში ადიშის ყინულვარდნილი, მდ. ღალდე - ჭალადის აუზის ზემოწელში „ფერხულის ქვის“ ლოდი;



- Ø სალაშქრო ხეობები - თვიბერი-ჟაბეში, ჭალაადი-მესტია, უშგული-შხარის მყინვარი, ზურულდი-მესტია, მაზერი-ტყევიში, უშბის მყინვარი;
- Ø კარვის ადგილები - ყველგან;
- Ø სამთო სათხილამურო ადგილები ამკრძალავი ნიშნებით - ჩანჩქერები - დიზში, მაზერში - შდუგვრა;
- Ø გადმოსახედი ადგილები - მესტიაში, ზურულდი, ჰაწვალი, გვალდი, ცხაკვაგარ, ხეშვილდი.

სვანეთის ეგზოტიკური, ხალასი, თვითმყოფადი და იდუმალებით მოცული მთის სამყარო ტურიზმის განვითარებისათვის იდეალურ პირობას ქმნის.

აქაური ძეგლები თავისი ხასიათით, თვითმყოფად ბუნებასთან ერთად, უნიკალურია. აქ წარმოდგენილია ადრეული და შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრები, კოშკები, უმშვენიერესი და საინტერესო ბუნება. ამიტომ სვანეთს, როგორც დიდი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მქონე რეგიონს, უნიკალური ტურისტული პოტენციალი აქვს. ბევრი ტურისტისთვის ქვეყნის მონახულების მოტივაცია ძირითადად სვანეთს უკავშირდება, შესაბამისად ეს რეგიონი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მდგრადი ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, ლამაზი ბუნება, ჯანსაღი კლიმატი და მინერალური წყლები საუცხოო პირობაა საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებისათვის. სვანეთში ასევე არის საუცხოო ხალხური ფოლკლორი, ხალხური რეწვის, ხეზე კვეთის, სხვადასხვა სახის მეწარმეობის ნიმუშები, უნიკალური სამზარეულო [2, გვ. 711].

საერთოდ, ტურისტულ მიმზიდველობას შემდეგი ფაქტორი განაპირობებს:

- ა) ბუნებრივი ობიექტები: მთა, პეიზაჟი, ლანდშაფტი;
- ბ) სამშენებლო ინფრასტრუქტურა;
- გ) ტრადიციული სოფლის მეურნეობა;
- დ) ჰაერი, მიკროკლიმატი;
- ე) სოფლის ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
- ვ) სისუფთავე და წესრიგი;
- ზ) სპორტული ობიექტები.

ტურიზმი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროა. სვანეთი კი ის ადგილია, რომელიც საქართველოში ტურისტების მოზიდვის კუთხით ერთ-ერთი მოწინავეა. თუმცა იგი გაცილებით მეტ ტურისტს მიიზიდავდა და გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანდა როგორც ქვეყანას, ისე ადგილობრივ მოსახლეობას, რომ არა ხელისშემშლელი ფაქტორები - სახელმწიფოს მხრიდან არასწორად განხორციელებული პიარი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, ხიფათში მოხვედრილი ტურისტი სათვის დახმარების გაწევის მყარი გარანტიის უქონლობა, არასაკმარისი ინფორმაცია და რეკლამა და ა.შ.



2. სვანეთის ტურისტული პოტენციალის SWOT- ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილი გვაქვს სვანეთის, როგორც საკურორტო-ტურისტული რეგიონის SWOT-ანალიზი, სადაც შეფასებულია შიდა ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ სტრატეგიების შემუშავებას დასახული მიზნების მისაღწევად, კერძოდ:

1. ძლიერი მხარეები: უნიკალური არქიტექტურული ძეგლები (სვანური კოშკები, უშგული, მესტია, და ა.შ.); ეკოლოგიურად სუფთა გარემო; ტრადიციული სასკოლო ტურები; ულამაზესი ბუნება: მთები, მდინარეები, უმაღლესი მწვერვალები, საჯომარდო ადგილები; კურორტები; იმიჯის არსებობა საერთაშორისო დონეზე (რაც აისახება ბოლო წლების განმავლობაში უცხოელი ტურისტების ძალიან დიდი რაოდენობით) და სხვა.
2. სუსტი მხარეები: უგზოობა; კომუნალური ინფრასტრუქტურის არც ისე სახარბიელო მდგომარეობა; მწირი, მცირედ განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; მოუვლელი და დაუცველი კულტურისა და ბუნების ძეგლები; გასართობი ინდუსტრიის ობიექტების მიზერული რაოდენობა; განთავსების საშუალებათა არათანაბარი განაწილება; რეგიონალური ტურიზმის განვითარების სტრატეგიის
3. არარსებობა, განუვითარებელი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა; რეგიონის უმეტეს ნაწილში განუვითარებელია ტურისტული ინფრასტრუქტურა, არ ხორციელდება ინვესტიციები არსებულ ნაგებობებში; მოუწყობელი ნაგავ-საყრელები და სხვა.
4. შესაძლებლობები: რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი, ტურიზმის განვითარება, ადგილობრივი თემებისა და კულტურის შენარჩუნება და აღორძინება, არაქართული მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია, სოფლის, კულტურული, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა.
5. საფრთხეები: ეკოლოგიის საკითხები (გამტარუნარიანობა, უკანონო ტყის ჭრა, ფეკალური მასებით მდინარეების დაბინძურება); უნიკალური ძეგლები (როგორც ბუნების, ასევე არქიტექტურული) მოუვლელობის გამო ნელ-ნელა ნადგურდება. მეწყერის გამო გზის ჩახერგვის საშიშროებები და ა.შ.

ამრიგად, SWOT- ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული იქნა სვანეთის საკურორტო ტურისტული რესურსების გამოყენების კონცეპტუალური ხედვა და შესაბამისად ტურისტული ბიზნესის განვითარების პრიორიტეტები.

ტურისტული მომსახურება თხოულობს სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელ მხარდაჭერას. საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად არსებობს მთელი რიგი მეთოდებისა, რომელთა დახმარებითაც ამ დარგში ხორციელდება სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა.



უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის ინვესტიციურ პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- Ø ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ხელსაყრელი კრედიტებით და სესხებით უზრუნველყოფა, ფიქსირებულ და საბაზრო პროცენტის განაკვეთის სხვაობის სახელმწიფო კომპენსაციით;
- Ø მიწის გაყიდვა ან არენდით გაცემა საბაზრო ფასზე დაბალი ფასით;
- Ø საგადასახადო შეღავათები;
- Ø ინვესტიციებზე სახელმწიფო გარანტიების მიცემა.

სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის ინდუსტრიაში გამოიყენება სახელმწიფო ინვესტიციური პოლიტიკის სხვადასხვა საშუალებები, მაგალითად, ავსტრიაში, საბერძნეთსა და პორტუგალიაში გამოიყენება შეღავათიანი სესხები. საფრანგეთში, ბრიტანეთსა და იტალიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დახმარებებს, ესპანეთში - დამატებულ ღირებულებაზე დაბალი გადასახადები.

საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა ქვეყნის მიმზიდველი იმიჯის შექმნას უცხოელი ტურისტებისათვის. ეს კი მიიღწევა ქვეყნის პოლიტიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფის გზით, ინფრასტრუქტურის განვითარებით (მაგალითად საგზაო ქსელი, რისკის შემცირება და სხვა). ასე უნდა გაკეთდეს სვანეთშიც.

დასკვნა

სვანეთის ტურისტული პოტენციალის გაცნობამ საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, რომ მას ამ მიმართულებით უდავოდ დიდი რესურსი გააჩნია, მაგრამ ინფრასტრუქტურა არ არის სათანადო დონეზე მოწყობილი, რასაც სახელმწიფოს ხელი სჭირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქათამაძე დ., ქათამაძე გ., საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი, 2013;
2. ძველი და ახალი სვანეთი.ავტორი: ეგნატე გაბლიანი
3. სვანეთი ცის ქვეშ. ავტორი: აკაკი გელოვანი
4. **facebook** გვერდი "სვანეთი
5. www.hotelsvaneti.ge
6. www.tourismstatistics.ge
7. geotravel.ge

რეზიუმე

სვანეთის ტურისტულ პოტენციალს

სახელმწიფოს ხელი სჭირდება

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
წმიდა გრიგოლ ფერაძის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი
ელისაბედ ბალიაშვილი

სტატიაში განხილულია სვანეთის ტურისტული შესაძლებლობები და ის სიძნელები და დაბრკოლებები, რომლებიც მის სრულ ათვისებას უშლის ხელს. ასეთ სიძნელებად მიჩნეულია: უგზოობა, მოუვლელი ინფრასტრუქტურა და მოუვლელი და დაუცველი ძეგლები, გასართობი ინდუსტრიის არქონა, მოუწყობელი ნაგავსაყრელები და სხვა. ამას ემატება მეწყერები და გზების ჩახერგვა, ბუნებრივი ლანდშაფტის დაზიანება ხეების ჭრით, ფეკალური მასით მდინარეების დაბინძურება და სხვა.

სტატიაში ხაზგასმულია სვანეთის ძლიერი მხარეებიც, რომლებიც მიიზიდავს უცხოელ ტურისტებს. ესენია უნიკალური არქიტექტურული ძეგლები, ეკოლოგიური სისუფთავე, ულამაზესი ბუნება, საჯომარდო ადგილები და სხვა.

ავტორის აზრით, სახელმწიფომ სპეციალური პროგრამა უნდა შექმნას და თვითონვე დააფინანსოს სვანეთში ინფრასტრუქტურის და კულტურის ზეგლების მოსაველეად.





Summary

Touristic Potential of Svaneti is in Need of Government Involvement

Elisabed Baliashvili

Doctor of Economics, Professor

St. Grigol Peradze Tbilisi Teaching University

The article concerns those touristic opportunities of Svaneti and difficulties and obstacles that obstruct their development in full. The difficulties include: bad roads, poor infrastructure, neglected monuments, absence of entertaining industry, badly organized landfills and etc. Moreover, rockslides and road blocking, damage of the landscape caused by wood cutting and pollution of rivers by fecal mass make the situation worse.

The author of the article suggests that government work out and finance a program showing concern about infrastructure improvement and monument protection in Svaneti.





საბანკო ინოვაცია-პლასტიკური ბარათები

ნიკა სენგელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გიგოლ ფერაზის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

შესავალი

ადამიანთა ცხოვრებაში ისეთი გამონაკლისი ისეთი საკმე, რომლის უკანა ფაქტორი ანგარიშსწორება არ დგას. თანამედროვე საბანკო პრაქტიკაში გამოცდის ნაშთი ფაქტორი ალტერნატივა – პლასტიკური ბარათი. მისი შესაქმნელია მოხერხებული ანგარიშსწორება, ბანკის პრომოაქციების მუდმივი მონაწილეობა, ინტერნეტის საკონსულტაციო მომსახურების სექტორი, SMS-ბანკინგის მსახურების ბარათზე განხორციელებული ტრანზაქციების მუდმივი კონტროლი, ფასდაკლება ბანკის პარტნიორ პროექტების და სხვა.

ყველა სხვა დავაში მხარეებთან ერთად, პლასტიკური ბარათი ადვილია განსაზღვრად, უსაფრთხოა მოგზაურობისას, მოხერხებულია ყიდვის პროცესის განხორციელებისას და ა. შ.

ყოველივე ამის მიუხედავად, მის გამოყენებას მოწინააღმდეგეებიც არიან. ერთ-ერთი ასეთი მოწინააღმდეგის აზრი ასეთია: ანგარიშსწორება მოვადინოთ ნაშთი ფაქტორი, არ იყოს გამოყენებული პლასტიკური ბარათები. პირველი ვის გამოყენების მიხედვით, როგორ გიყარებინა დაბეჯინა, რასაც მეორე მეთოდის გამოყენების ვარიანტი – [1, გვ. 141].

ასეთი სექციების გახიზნის შემდეგ გამოცდის ინტერესი გამოკვლევადობა – დაბეჯინა არა პლასტიკური ბარათები მასობრივად საკრთველი და ამტარებინა ბანკის კლიენტურაში ინტერაქტიული გამოკრთვები მის შესახებ.



1. პლასტიკური ბარათების გავრცელება საქართველოში

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით 2011 წელს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ emitირებული და მიმოქცევაში გასვლილი პლასტიკური ბარათების რაოდენობამ 3,4 მლნ-ს აღემატა, რაც 4,9%-ით აღემატება 2010 წლის შესაბამის მაჩვენებელს. არსებული პლასტიკური ბარათებიდან 84,2% იყო სადებიტო, 15,8% კი – საკრედიტო.

საკრედიტო ბარათი ეს ისეთი ანგარიშსწორების საშუალებაა, როცა ბანკი-ემიტენტი ირებს ვალდებულებას გადარიცხოს კლიენტის ტანხები ამ კლიენტებისთვის დამტკიცებული კრედიტის ლიმიტის ფარგლებში. რაც შეეხება სადებიტო ბარათს, ეს ისეთი ტიპის ბარათია, რომლისთვისაც დამასიატებელი ამჟამინდელი დებიტის არსებობა, რომლის მოცულობასაც საკუთარი სესხდებიტის განსაზღვრავს პლასტიკური ბარათის მფლობელი [2, გვ. 375].

მსოფლიოში მიმოქცევაში არსებული ბარათების 50%-ს **CISA**-ბარათები შეადგენს, 30%-ს – **EURO CARD/MASTER CARD** – ბარათები, 18%-ს – **EXPRES** ბარათები და 2% დანარჩენი ბარათები [3, გვ. 127]. საქართველოში **VISA**-ბარათებს 90,2% უკავიათ, 7,3% **MASTE CARD** ბარათებზე მოდის, ხოლო 2,5% – დანარჩენ ბარათებზე [4].

VISA-ბარათებით ეროვნულ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საბოლოო ანგარიშსწორება **GNNSS**-სისტემაში ხდება, ხოლო უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება **VISA**-ს ლონდონის ოფისში ხორციელდება.

დრეისაშვის საქართველოში მოქმედებს **VISA INTERNATIONAL**-ის 12 წევრი ბანკი, **GNNSS** სისტემის მონაწილეა 7 კომერციული ბანკი. საქართველოს კომერციული ბანკებიდან ადგილობრივ ბაზარზე პლასტიკური ბარათების ემისიას 13 ბანკი ახორციელებს.

საქართველოში გამოსვლილი ბარათების რაოდენობა 2011-2014 წლებში ასე ხასიატდება:

2011 წელს – 3,4 მლნ-ს აღემატა


2012 წელს – 4,543 მლნ-ს აღემატა

2013 წელს – 5,356 მლნ-ს აღემატა

2014 წელს – 6,764 მლნ-ს აღემატა



გამოსვების დინამიკის გრაფიკული აღწერა:



ნახაზი 1. საკრებულის გამოცემების დინამიკა

ტუ გამოცემების ბარათების მოხაზვების რაოდენობას შეუფარდებთ, დავინახავთ, რომ 2013 წელს საკრებულის მოხაზვების ყოველ 10 მოხაზვებზე 15 ბარათი იყო გამოცემული. ეს იმას ნიშნავს, რომ იმის მიუხედავად, რომ მოხაზვების პლასტიკური ბარათების მთლიანად არ ენდობა, პლასტიკური ბარათების ბაზარი მაინც საკმაოდ გაიზარდა.

2014 წელს კრების საგანგებო ბარათების საკრებულის და მისი ფარგლებს გარეთ სესრულდა 2,4 მლნ დარიხის რიგების 20 მლნ ოპერაცია. აგედიან ოპერაციების რაოდენობის 96% და ტანხის 93% სესრულდა ღირსი სიგნით. შინა წელს ტანხების ოპერაციების რაოდენობა 33%-ით არის გაზრდილი, ხოლო რიგების ება 26%-ით. ნარდის გაცემის ოპერაციები კი რაოდენობრივად გაიზარდა 19%-ით, ხოლო ტანხების რაოდენობა 26%-ით. სავაჭრო (მომსახურების) ობიექტების POS-ტერმინალზე სესრულდა ოპერაციების რაოდენობრივად გაიზარდა 56%-ით, ტანხების რაოდენობა კი _ 29%-ით.

2. მოსახლეობის ლოიალურობა პლასტიკური ბარათების მიმართ, ანუ მათი აკტივობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2013 წელს საკრებულის მოხაზვების ყოველ 10 მოხაზვებზე საკრებულის გამოცემული 15 პლასტიკური ბარათი მოდიოდა. ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ საკრებულის მოხაზვების ყოველი მოხაზვების სარგებლობის მიმართ.



ubral od, zogierT adamiანს რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულებას აწიკურებს
 ბარათის აკვს და ამით მთლიანობაში იკმნება ასეთი სურათი. არვისნეტისიც, რომ
 მეცნიერთა ერთი ნაწილი არ ურცევს მოსახლეობას მათ გამოყენებას და ფულის
 უაირათო ხარჯვის თავიდან ასაცილებლად აქტიური ხარჯვის მეტუპირატეობას
 აწიკურებს. უნდა ვარაიროთ, რომ ორივე მხარეს გააჩნია თავისი პოზიციის გამართ-
 ლელები და საკმაოდ მტკიცე არგუმენტები.

პლასტიკური ბარათის ანაგრიწვობა მართლაც მოსახერხებელი და კომფორ-
 ტულია. ეს არ არის სადავო. ეს მისი კარგი, დადებითი მხარეა. მაგრამ ეს მართი
 და კომფორტი პროცედურა მომხმარებლისთვის ხსირად უნდა პრობლემების
 შემცირების და ზიანის მოშლის მიხედვით.

ამ საკითხზე ცხელ ინტერაქტიური გამოკითხვა ჩატარებულ ბანკოების მოსარ-
 გებელთა ოპრიატივების და ტიპის-ბანკის- კლიენტებთან. გამოკითხვას დაეკვე-
 მებარა 10 კაცი. აკედან 3 კლიენტმა, მოუხედავად იმისა, რომ საგრებლ ობენ პლას-
 ტიკური ბარათებით, უარყოფითად შეაფასეს ეს მომსახურება. ისინი ყიფილი
 ოპრიატივების- კლიენტები იყვნენ. მათ არისნეს, რომ უკოდნათ თავიანთი
 ანაგრიწვიდან საუიროზე მეტი ტანხის გამოწვევის შემთხვევები. ეს მოხდა საკონი-
 სერვისის დროს.

ასეთ შემთხვევაში, რატომ უნდა, პლასტიკური ბარათის მფლობელს უფლება
 აკვს პრეტენზია უარუდგინოს ბარათის ემისენტ ბანკს ან მომხმარებელს უფლებ-
 ბების დაცვის ფედერაციას და პასუხი მოითხოვოს, მაგრამ დაგვეტანხმებთ, რომ
 მომხმარებელი ამას არ გააკეთებს, თუ საკმე დიდი ტანხის დაკარგვას არ ეხება.
 არადა, ასეთი ერთი შემთხვევა კი, დანაკარგის სიდიდის მიუხედვად, მას საბო-
 ლოდო განაუყოფს პლასტიკური ბარათების გამოყენების საუინარმდებოდ.

დასკვნა

საკარტველ ოს კომერციული ბანკები პლასტიკური ბარათების მეშვეობით
 უარდო ანაგრიწვობის კულტურის დანერგვას საკარტველ ოსი განაგრზობენ და
 მომხმარებლებს ახალ-ახალ ტიპის პლასტიკურ ბარათებს სთავაზობენ. განსაკუ-
 რებით ეს ეხება საკრედიტო ბარათებს.



sabanko sistemis terminal ebis gaumarTavi muSaoba iwvevs momxmarebel Ta sayvedurebs. danakargis SemTxvevaSic ki, maT uWirt simarTl is damtkiceba. amasTan, aseTi SemTxvevebis gamo, maT swirdebaT baratis mudmivi kontrol i, rac damatebit drois da energiis xarj vas moiTxovs.

saqarTvel os sabanko sistemas da mis fl agmans _ erovnul banks moeTxoveba am siaxl is mimarT meti yuradReba, radgan erTi dazaral ebuli klientis sayveduric ki sakmarisia am siaxl is mimarT skepticizmis gansamtkicebl ad.

ლიტერატურა:

1. RuduSauri z., TviTmenej menti, Tb., `saCino~, 2015.
2. kakulia r., baxtaZe l., kandelakiSvili l., sabanko saqme, Tb., 2010.
3. gogoxia m., sabanko saqme, Tb., 2008.
4. erovnuli bankis saiti _

http://222.nbg.gov.ge/uploads/balanceofpayments/balance_of_paymentgeo.xls

References:

1. Z. Gudushauri Self-Management Tbilisi "Sachino" 2015
2. Kakulia R, Bakhtadze L, Kandelakishvili L. Banking
3. Gogokhia M. Banking
4. Web site of the National Bank of Georgia

http://222.nbg.gov.ge/uploads/balanceofpayments/balance_of_paymentgeo.xls





რეზიუმე

საბანკო ინოვაცია-პლასტიკური ბარათები

ნიკა სენგელია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
გრეგორი ფერაზის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

სტატიაში განხილულია პლასტიკური ბარათების უნარდონორების დანების და უარყოფითი მხარეები. დანების მხარეებზე დასაყრდენი იქნება მომხმარებლის სიძველე, ანგარიშების კომფორტობა, მფლობელის ფართო უფლებები, უარყოფითად კი – ბარათის მუდმივი კონტროლის აუცილებლობა, ბარათის ადმინისტრაციის საფრთხე, ტერმინალების გაუმართავი მუშაობა და სხვა.

სტატიაში ნათქვამია, რომ პლასტიკური ბარათები უდავოდ არის საბანკო ინოვაცია, მაგრამ საკარტელოს კომერციულ ბანკებში და ეროვნულმა ბანკმა ამ სახელის შემთხვევაში უნდა დაუთმონ, რათა მომხმარებელთა მასობრივი ღირებულება უნდა გაუმართოს ტერმინალების მუშაობა, პლასტიკური ბარათების დადებითი საფრთხეები და ა. შ.





SUMMERY

BANK INNOVATION - PLASTIC CARDS AND ITS POSITIVE AND NEGATIVE SIDES

NIKOLOZ SHENGELIA

Doctor of Economics

Professor of St. Grigol Peradze Tbilisi University

The article considers the negative and the positive sides of the cashless payment. The easiness of use, comfortableness, and wide rights of customers are considered as the positive side, while the necessity to control the card regularly, cyber threat of the card and faulty work of terminals are considered as the negative

The article states that the plastic cards are bank innovation. However the commercial banks and the National bank of Georgia should pay more attention to the plastic cards in order to gain loyalty of the customers. They have to improve terminals work, put security code etc.





საქართველოს კანონი

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005, მუხ. 96) 31¹ მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ საქართველოს ფინანსთა, იუსტიციის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების სისტემების თანამშრომლები, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა მინისტრის გადაწყვეტილებით – სხვა პირები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

25 ნოემბერი 2015 წ.

N4554-ლს

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.05.1998, გვ. 37) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ჰ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მისი ტერიტორიული ორგანოები და მისი მმართველობის სფეროში შემავალი სხვა ორგანოები – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე, არქეოლოგიურ ობიექტებზე და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში კანონის დარღვევით წარმოებულ მიწის, სამშენებლო და სხვა სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებზე;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 25 ნოემბერი 2015 წ.

N4557-ის

საქართველოს კანონი

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №19-20, 30.07.96, გვ. 11) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის წესდების/დებულების მიზანია: სამეცნიერო გრანტების გაცემა; საქართველოში განხორციელებული რეფორმებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია და საერთაშორისო საზოგადოებაში მათი დამკვიდრების ხელშეწყობა; საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მთავრობებისათვის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და მდგრადი განვითარების სფეროებში, ბუნებრივი და ადამიანის ზემოქმედებით გამოწვეული კატასტროფების შედეგების აღმოფხვრაში დახმარების გაწევა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

11 ნოემბერი 2015 წ.

N4497-ის



საქართველოს კანონი

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994, №№21–22, მუხ. 455) მე-60 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება ამ კანონით, თუ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 11 ნოემბერი 2015 წ.

N4496-ის

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს – საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას, აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედ კომისიას – „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2016 წლის 4 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი, 11 ნოემბერი 2015 წ.

N4493-ის

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №626**

2015 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილებაში (სსმ, 172, 31/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილებები და :

1. დადგენილების:**ა) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:**

„ე) საქართველოში წარმოშობილი, რუსეთის ფედერაციაში ექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლისათვის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1-ის გაცემის წესი (დანართი №5).“;

ბ) მე-2 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის“ (დანართი №1):

ა) მე-2 მუხლის:**ა.ა) მე-5-მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს წარმოშობის სერტიფიკატები გაიცემა:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მიერ, ან



ბ) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5¹. თუ წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ, სერტიფიკატის გაცემისათვის განაცხადი და ყველა საჭირო დოკუმენტაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით.

6. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1, ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებზე და თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებულ საქონელზე საქართველოში წარმოშობის დამადასტურებელი შესაბამისი ფორმის სერტიფიკატი გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ.“;

ა.ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქონლის წარმოშობის CT-1 სერტიფიკატი გაიცემა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მეთაურთა საბჭოს 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად (გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).“;

ა.გ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 პუნქტი:

„13. საქართველოში წარმოშობილი საქონლის რუსეთის ფედერაციაში გატანისას საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 გაიცემა ამ დადგენილების დანართ №5-ით დადგენილი წესის შესაბამისად.“;

ბ) მე-11 მუხლის:

ბ.ა) მე-16 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) შესაბამისობის სერტიფიკატი – ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც უფლებამოსილმა ორგანომ შესაძლებელია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის დადგენის მიზნით.“;

ბ.ბ) მე-16 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 16¹ პუნქტი:

„16¹. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში, საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა ამ მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ყურძნისეული ნედლეულის წარმოშობის შესახებ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.“;

გ) მე-13 მუხლის:

გ.ა) მე-13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) შესაბამისობის სერტიფიკატი – ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში;



ვ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც უფლებამოსილმა ორგანომ შესაძლებელია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის დადგენის მიზნით.“;

გ.ბ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ პუნქტი:

„13¹. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში, საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი გაიცემა ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ყურძნისეული ნედლეულის წარმოშობის შესახებ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.“;

დ) მე-15 მუხლის:

დ.ა) მე-13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) შესაბამისობის სერტიფიკატი – ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც უფლებამოსილმა ორგანომ შესაძლებელია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის დადგენის მიზნით.“;

დ.ბ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ პუნქტი:

„13¹. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში, საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 გაიცემა ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ყურძნისეული ნედლეულის წარმოშობის შესახებ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.“;

ე) მე-16 მუხლის:

ე.ა) მე-13 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შესაბამისობის სერტიფიკატი – ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში;

ე.ბ) მე-13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტი, რომელიც უფლებამოსილმა ორგანომ შესაძლებელია მოითხოვოს საქონლის წარმოშობის დადგენის მიზნით.“;

ე.გ) მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ პუნქტი:

„13¹. ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის შემთხვევაში, წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 გაიცემა ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტებისა და აღნიშნული პროდუქციის წარმოებაში გამოყენებული ყურძნისეული ნედლეულის წარმოშობის შესახებ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.“.



3. დადგენილებას დაემატოს დანართი №5 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2015 წლის 4 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

„დანართი №5

საქართველოში წარმოშობილი, რუსეთის ფედერაციაში

ექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლისათვის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1-ის გაცემის წესი

მუხლი 1. წინამდებარე წესი გამოიყენება საქართველოში წარმოშობილი და მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში ექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლისათვის წარმოშობის სერტიფიკატი CT-1-ის გაცემისათვის, რისთვისაც დადგენილია შემდეგი მოთხოვნები:

1. წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 (შემდგომში სერტიფიკატი) იბეჭდება რუსულ ენაზე, ტიპოგრაფიული მეთოდით დამზადებული A4 -ის ფორმატის სპეციალურ დაცულ ბლანკზე (210X297მმ), რომლის სიმკვრივე არ უნდა იყოს 25 გ/მ² ნაკლები. დაუშვებელია სერტიფიკატში ხელმოწერი პირების ფაქსიმილეს გამოყენება, დადგენილი წესით დადასტურების გარეშე ამოშლილი ადგილის, ჩასწორების ან/და დამატების არსებობა.

სერტიფიკატში შესწორებების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება არასწორი ინფორმაციის გადახაზვით და მასზე სწორი ინფორმაციის გადაბეჭდვით ან ხელით შეყვანით, რაც დასტურდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს ბეჭდით.

2. გრაფა 1 <*> - „გამგზავნი/ექსპორტიორი (დასახელება და საფოსტო მისამართი)“. მიეთითება საქონლის გამგზავნის/ექსპორტიორის დასახელება და საფოსტო მისამართი.

3. გრაფა 2 <*> - „მიმღები/იმპორტიორი(დასახელება და საფოსტო მისამართი)“. მიეთითება საქონლის მიმღების/იმპორტიორის დასახელება და საფოსტო მისამართი.

* შენიშვნა:

სერტიფიკატის გრაფა 1-ში და გრაფა 2-ში მიეთითება საქონლის გამგზავნის/ექსპორტიორის და საქონლის მიმღების/იმპორტიორის იგივე დასახელება და საფოსტო მისამართი, რომელიც მითითებულია საქონლის გაგზავნასთან დაკავშირებულ (საგარეო ვაჭრობის შეთანხმება/გარიგება; ანგარიშ-ფაქტურა, საბაჟო დეკლარაცია და სხვა.) დოკუმენტებში.



როდესაც საქონლის გამგზავნი და ექსპორტიორი / მიმღები და იმპორტიორი სხვადასხვა იურიდიული პირები არიან, მითითებული უნდა იყოს, რომ საქონლის გამგზავნი (დასახელება და მისამართი) მოქმედებს ექსპორტიორის (დასახელება და მისამართი) „დავალებით“.

4. გრაფა 3 - „სატრანსპორტო საშუალებები და მარშრუტი (რამდენადაც ცნობილი)“. მიეთითება სატრანსპორტო საშუალება და მარშრუტი, რამდენადაც ეს ცნობილია.

5. გრაფა 4 - მიეთითება სერტიფიკატის სარეგისტრაციო ნომერი, გამცემი ქვეყანა და სახელმწიფო, რომლისთვისაც არის განკუთვნილი ეს სერტიფიკატი. დასაშვებია სარეგისტრაციო ნორმის ხელით შეყვანა ან შტამპით დადება.

6. გრაფა 5 - „სამსახურებრივი შენიშვნები“. იბეჭდება ან იწერება ხელით ან დაედება შტამპი, საქონლის გატანის, ტრანზიტის ან/და მიმღები ქვეყნის სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების სამსახურებრივი შენიშვნები. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში კეთდება შემდეგი ჩანაწერები: „დუბლიკატი“, „გაცემულია სერტიფიკატის ნაცვლად“, „გაცემულია შემდგომში“. სერტიფიკატში შესწორებების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება არასწორი ინფორმაციის გადახაზვით და მასზე სწორი ინფორმაციის გადაბეჭდვით ან ხელით შეყვანით, რაც დასტურდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანოს ბეჭდით.

7. გრაფა 6 - „ნომერი“. მიეთითება საქონლის რიგითი ნომერი.

8. გრაფა 7 - „ადგილების რაოდენობა და შეფუთვის სახეობა“. მიეთითება ადგილების რაოდენობა და შეფუთვის სახეობა.

9. გრაფა 8 - „საქონლის აღწერილობა“. მიეთითება საქონლის კომერციული დასახელება და სხვა მონაცემები, რომელიც საბაჟო გაფორმების მიზნებისათვის საქონლის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა, ასევე მიეთითება წარმოშობის შემდეგი კრიტერიუმები:

„П“ - როდესაც საქონელი სრულად არის წარმოებული საქართველოს ტერიტორიაზე;

„D1905“ - როდესაც საქონელმა განიცადა საკმარისი დამუშავება/გადამუშავება, საბოლოო პროდუქციის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდის პირველი 4 ციფრის მითითებით, მაგ. - 1905;

„A“ - საქონელი, რომლის წარმოშობის ქვეყანა განსაზღვრულია ადვალური წილის წესის გამოყენებით, ექსპორტისთვის განკუთვნილ საქონელში გამოყენებული უცხოური მასალების ღირებულების პროცენტული წილის მითითებით, რომელიც გამოიანგარიშება მწარმოებელი ფრანკო-ქარხნის ფასის საფუძველზე, მაგ. „A15%“.



10. გრაფა 9 – „ბრუტო/ნეტო წონა (კგ)“. მიეთითება საქონლის ბრუტო/ნეტო მასა (კგ) ან/და სხვა რაოდენობრივი მაჩვენებლები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) შესაბამისად. მიწოდებული საქონლის ფაქტიური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სერტიფიკატში მითითებული საქონლის რაოდენობას 5%-ზე მეტად.

11. გრაფა 10 – „ანგარიშ-ფაქტურის ნომერი და თარიღი“. მიეთითება ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის), პროფორმა-ინვოისის, ან საქონლის ფინანსური ან/და რაოდენობრივი მონაცემების შემცველი სხვა დოკუმენტის მონაცემები.

12. გრაფა 11 – „დამოწმება“. ივსება უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მოიცავს მის დასახელებას, მისამართს, ბეჭედს და სერტიფიკატის გაცემის თარიღს, ასევე, სერტიფიკატის დამოწმებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერას, გვარს და ინიციალებს. უფლებამოსილი ორგანოს ბეჭედი მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი, რომელიც, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მისი ნამდვილობის დადასტურებას. დასაშვებია თარიღის, უფლებამოსილი პირის გვარისა და ინიციალების ხელით შეყვანა ან შტამპით დადება.

13. გრაფა 12 – „განმცხადებლის დეკლარაცია“. მიეთითება ქვეყანა, სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოებული ან განიცადა საკმარისი დამუშავება/გადამუშავება, საქონლის წარმოშობის ქვეყნის მონაცემების დეკლარირების თარიღი, ასევე დაიდება განმცხადებლის ბეჭედი, განმცხადებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, გვარი და ინიციალები. დასაშვებია თარიღის, უფლებამოსილი პირის გვარისა და ინიციალების ხელით შეყვანა ან შტამპით დადება.

მუხლი 2. საქონლის წარმოშობის ქვეყანად მიიჩნევა ის ქვეყანა სადაც საქონელი სრულად იქნა წარმოებული ან განიცადა საკმარისი დამუშავება/გადამუშავება.

მუხლი 3. საკმარისი დამუშავების/გადამუშავების კრიტერიუმი შესრულდება შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

1. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) პირველი 4 ციფრის დონეზე ცვლილება, რომელიც დამუშავების/გადამუშავების საფუძველზე წარმოიშვა;

2. საქონლის დამუშავების/გადამუშავების შედეგად, გამოყენებული უცხოური წარმოშობის მასალების ღირებულება არ აღემატება საბოლოო პროდუქციის ღირებულების 50%-ს (ადვალური წილის წესი).

მუხლი 4. ადვალური წესის გამოყენების შემთხვევაში, ღირებულებითი მაჩვენებლები გამოიანგარიშება:

ა) უცხოური წარმოშობის მასალებისთვის – იმ ქვეყანაში შემოტანისას საბაჟო ღირებულების შესაბამისად, სადაც ხორციელდება საბოლოო პროდუქციის წარმოება, ან იმ ქვეყნის ტერიტორიაზე დოკუმენტალურად დადასტურებული პირველადი გაყიდვის ფასის საფუძველზე, სადაც ხორციელდება საბოლოო პროდუქციის წარმოება.



ბ) საბოლოო პროდუქტისთვის – ფრანკო-ქარხნის ფასის შესაბამისად.

მუხლი 5. ქართული წარმოშობის საქონელი ისარგებლებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით რუსეთის ფედერაციის საბაჟო ტერიტორიაზე, თუ ის აკმაყოფილებს წარმოშობის კრიტერიუმებს, და, ასევე, თუ საქონელი:

ა) შეთანხმების მონაწილე ერთი სახელმწიფოს რეზიდენტსა და შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს რეზიდენტს შორის გაფორმებული შეთანხმების/კონტრაქტის საფუძველზე გადის შეთანხმების მონაწილე ერთი სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან და შედის შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ბ) შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს რეზიდენტ ფიზიკურ პირს გააქვს (შემოაქვს) - შეთანხმების მონაწილე ერთი სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიიდან შეთანხმების მონაწილე მეორე სახელმწიფოს საბაჟო ტერიტორიაზე;

გ) არ ტოვებს შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების საბაჟო ტერიტორიებს.“.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №624

2015 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის №131 დადგენილებაში (სსმ, 2008 წელი, მუხლი 881) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №620

2015 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის №402 დადგენილებაში (სსმ, 172, 31/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1.** შეიქმნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომში – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ნოდარ ხადური – საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ლამა ხუციშვილი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლერი ბარნაბიშვილი – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

მამუკა ბარათაშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი;

დავით გაბლიშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის სამსახურის უფროსი;

დავით მოლოდინი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ზვიად კორძია – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი;

გიორგი მალმიგაშვილი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის საგადასახადო პოლიტიკის სამმართველოს უფროსი;

ზვიად ჭუნაშვილი – ეკონომიკური საბჭოს აპარატის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მრჩეველი;



მირიან გამეზარდაშვილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

მიხეილ ადეიშვილი – საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ნინო ფოღიაშვილი – საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის ექსპერტი საგადასახადო საკითხებში;

დავით ცერცვაძე – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორი;

გიორგი ფერაძე - სსიპ – კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №618

2015 წლის 14 დეკემბერი, ქ. თბილისი

„შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 09.02.2015 წ., 270000000.10.003.018422) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 192 000 ლარით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №615

2015 წლის 11 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 31 აგვისტოს №451 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 31 აგვისტოს №451 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/09/2015, 430060000.10.003.018837) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი, დაფინანსების წყარო და დაფინანსების მექანიზმები

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 400 000 ლარით. პროგრამის (მათ შორის, პროგრამის ადმინისტრირების ხარჯების) დაფინანსების წყაროა წლიური საბიუჯეტო კანონით „შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმებისათვის“ (პროგრამული კოდი - 35 05) გათვალისწინებული ასიგნება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

**საქართველოს მთავრობის****დადგენილება №600**

2015 წლის 27 ნოემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 480180000.10.003.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი“ (დანართი №3) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი**ირაკლი ღარიბაშვილი**



დანართი

„დანართი №3

საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების,
სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა,

სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი

საზღვაო პორტები, აეროპორტები, რკ/გ სადგურები, სახმელეთო გადასასვლელები	საბაჟო გამშვები პუნქტი
საზღვაო ტრანსპორტზე	
„ფოთისა და ყულევის პორტები“	„ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ბათუმის პორტი“	„ბათუმის პორტი“
საჰაერო ტრანსპორტზე	
„თბილისის აეროპორტი“	„თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“	„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“
„ბათუმის აეროპორტი“	„ბათუმის აეროპორტი“
სარკინიგზო ტრანსპორტზე	
„გარდაბანი“	„გარდაბანი“
„სადახლო რკინიგზა“	„სადახლო-სარკინიგზო“
საავტომობილო ტრანსპორტზე	
„წითელი ხიდი“	„წითელი ხიდი“
„გუგუთი“	„გუგუთი“
„სადახლო“	„სადახლო-საავტომობილო“
„ლაგოდეხი“	„ლაგოდეხი“
„ვალე“	„ვალე“
„ნინოწმინდა“	„ნინოწმინდა“
„ყაზბეგი“	„ყაზბეგი“
„სარფი“	„სარფი“
„მტკვარი“	„მტკვარი“
„ახკერპი“	„ახკერპი“
„სამთაწყარო“	„სამთაწყარო“
„კარწახის სამშენებლო ზონა“	„კარწახის სამშენებლო ზონა“
„კარწახი“	„კარწახი“ . “.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის**ბრძანება №410**

2015 წლის 11 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 7 დეკემბრის №407 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 07.12.2015წ., 190040000.22.033.016838) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნას;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი - მე-3 პუნქტები, მე-4 პუნქტის „ა“, „ბ.ა“ – „ბ.ბ“ და „ბ.ე“ ქვეპუნქტები და მე-5 პუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ფინანსთა მინისტრი

ნოდარ ხადური





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №407

2015 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) დანართი №3 განსაზღვრავს სახაზინო კოდებს, რომლებიც შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის ბიუჯეტის შემოსულობის თითოეულ სახეს, რომლებზეც ხდება თანხის გადახდა, გარდა გადასახადებისა.“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ¹“ ქვეპუნქტი:

„გ¹) გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე – 101001000. სახელმწიფო ხაზინის მიერ, საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, გადასახადების აღრიცხვის საფუძველს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – სსიპ – შემოსავლების სამსახური) ინფორმაცია გადასახადების სახით ერთიან კოდზე ჩარიცხული გადასახადების ფაქტობრივი საგადასახადო ვალდებულებების მიხედვით გადანაწილების შესახებ.“.

2. 1¹ – 1⁵ მუხლები ამოღებულ იქნეს.

3. მე-3 და მე-4 მუხლები ამოღებულ იქნეს.

4. ბრძანებით დამტკიცებული:

ა) დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



ამკრეფის კოდი	ამკრეფის დასახელება
1	შემოსავლების სამსახური
3	სხვა შემოსულობები
7	სსიპ/ა(ა)იპ

ბ) დანართი №2-ში:

ბ.ა) სახაზინო კოდი – 0093 – „თბილისის ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობების“ შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი სახაზინო კოდი:

„81 ¹	0100	გადასახადები“;
------------------	------	----------------

ბ.ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი კოდები:

„82	0101	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – თბილისი
83	0102	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – ახალციხე
84	0103	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – თელავი
85	0105	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – ქუთაისი
86	0108	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – რუსთავი
87	0109	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – ფოთი
88	0110	გადასახადები იმპორტირებული პროდუქციიდან – ბათუმი“;

ბ.გ) ბიუჯეტის განმკარგველი – 0952 – ა(ა)იპ – „ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი „ნართების“ შემდეგ დამატებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველი:

„341	0953	ა(ა)იპ – სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“;
------	------	--

ბ.დ) ამოღებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

„528	4168	აიპ – ქ. თბილისის მერიის გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრი
536	4176	აიპ – ქ. თბილისის მერიის გეგელიას სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა აკრობატიკის სპორტული ცენტრი
611	4251	ა(ა)იპ – ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების გაერთიანება“;

ბ.ე) ბიუჯეტის განმკარგველი – 4329 – ა(ა)იპ – „ქალაქ რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრი“-ის შემდეგ დამატებულ იქნეს ბიუჯეტის შემდეგი განმკარგველები:

„690	4330	აიპ – სოფ.აჭარის სპორტსკოლა
691	4331	აიპ – სოფ.აჭარის კულტურის ცენტრი
692	4332	აიპ – ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება
693	4333	აიპ – ქედის ისტორიული მუზეუმი
694	4334	აიპ – ქედის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლა
695	4335	აიპ – ქედის სასპორტო სკოლა
696	4336	აიპ – ქედის კულტურის ცენტრი
697	4337	აიპ – ქობულეთის გამწვანება



698	4338	ააიპ – ქობულეთის სოფლის წყალი
699	4339	ააიპ – ქობულეთის საბავშვო ბაღების გაერთიანება
700	4340	ააიპ – ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა
701	4341	ააიპ – ქობულეთის სახელოვნებო სკოლა
702	4342	ააიპ – ქობულეთის კულტურის ცენტრი
703	4343	ააიპ – ქობულეთის პარკი
704	4344	ააიპ – ქობულეთის გურამ თამაზაშვილის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
705	4345	ააიპ – ქობულეთის მუზეუმი
706	4346	ააიპ – ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი – ქობულეთი
707	4347	ააიპ – შუახევის კულტურის ცენტრი
708	4348	ააიპ – შუახევის სასპორტო სკოლა
709	4349	ააიპ – შუახევის სახელოვნებო სკოლა
710	4350	ააიპ – შუახევის ბაღების გაერთიანება
711	4351	ააიპ – შუახევის საფეხბურთო კლუბი "მერანი"
712	4352	ააიპ – შუახევის წყალკანალი
713	4353	ააიპ – შუახევის სოციალური სერვისების ცენტრი
714	4354	ააიპ – ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა
715	4355	ააიპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა
716	4356	ააიპ – ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება
717	4357	ააიპ – ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი
718	4358	ააიპ – ხელვაჩაურის გამწვანებისა და დასუფთავების სამსახური
719	4359	ააიპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება
720	4360	ააიპ – კურორტი ბეშუმი
721	4361	ააიპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა
722	4362	ააიპ – ხულოს სახელოვნებო სკოლა
723	4363	ააიპ – ხულოს კულტურის ცენტრი
724	4364	ააიპ – ხულო-თაგოს ბაგირგზა
725	4365	ააიპ – ხულოს წყალკანალი
726	4366	ააიპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი
727	4367	ა(ა)იპ ლანჩხუთის ტექსერვისი
728	4368	ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი
729	4369	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება
730	4370	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი
731	4371	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგონათა ექსპერიმენტური სარაგბო-საფეხბურთო სკოლა
732	4372	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის
733	4373	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბი "ლანჩხუთის გურია"
734	4374	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირთა განვითარების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი
735	4375	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი
736	4376	ა(ა)იპ ლანჩხუთის სერვისი



737	4377	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა
738	4378	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრი
739	4379	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის ცენტრი
740	4380	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის კულტურის სახლი
